

„ტრავმული სტრესული აშლილობა, დეპრესია და დასწავლილი უმწეობის
როლი ძალადობის მსხვერპლ ქალებში“

ნანა ვაშაკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა - ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი - ნანა ვაშაკიძე

თარიღი 26.06.2017

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალებში დასწავლილი უმწეობის არსებობის ფენომენის შესწავლა და დასწავლილი უმწეობას, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) სიმპტომებს, დეპრესიის და თვით-ეფექტურობის ფენომენთან კავშირების დადგენა. დასწავლილი უმწეობა არის ფსიქოლოგიური მახასიათებელი, რომელიც ვითარდება განმეორებადი, არაკონტროლირებადი და ავერსიული სტიმულების განმეორების შედეგად, რაც შედეგად იწვევს სტიმულზე შესაძლო რეაქციების სიმწირეს. ჩემი მოსაზრებით, ძალადობის მსხვერპლ ქალებში დასწავლილმა უმწეობამ შესაძლოა მიგვიყვანოს მორჩილებასთან და თვით-ეფექტურობის შემცირებასთან და შესაძლოა ფსიქიკური აშლილობების გამომწვევი მიზეზი იყოს, განსაკუთრებით პტსა და დეპრესიის. საერთაშორისო კვლევებით პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა ძალადობის მსხვერპლი ქალების 33-38% უნვითარდება; ხოლო დეპრესია სიხშირით მეორე დიაგნოზია, რომელიც ხშირად ვლინდება ოჯახური ძალადობის პირობებში და მაღალი კომორბიდულობით ხასიათდება. *მეთოდები.* კვლევა განხორციელებული იყო 33 ქალზე, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოს მაშტაბით არსებულ ექვს თავმესაფარში და ერთ კრიზისულ ცენტრში. ჩემი ჰიპოთეზით, დასწავლილი უმწეობა კავშირში იყო პტსა-ს სიმპტომებს, დეპრესიასა და თვით-ეფექტურობასთან: ვარაუდობდით, რომ ის დადებით კორელაციაში იქნებოდა პტსა-ს და დეპრესიასთან და უარყოფით კორელაციაში იქნებოდა თვით-ეფექტურობასთან. შესაბამისად, მოცემულ კვლევაში გამოყენებულ იქნა საერთაშორისო აღიარების მქონე სტანდარტიზირებული კითხვარები, რომლებიც შევსებულ იქნა ძალადობის მსხვერპლი ქალები მიერ. კვლევის ინსტრუმენტის პირველი ბლოკი ინფორმაციას იძლეოდა დემოგრაფიული მონაცემების და ძალადობის ტიპის, სიხშირის შესახებ, ხოლო სქრინინგ ინსტრუმენტების ბლოკი მოიცავდა დასწავლილი უმწეობის, დეპრესიის, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის და თვით-ეფექტურობის საკვლევ კითხვებს. კვლევაში ჩართვას წინ უსწრებდა რესპოდენტისგან ინფორმირებული თანხმობის ფორმის შევსება. *შედეგები.*

კვლევის შედეგად ძალადობის მსხვერპლ ქალებში დაფიქსირდა მაღალი, დადებითი კორელაცია პოსტ ტრავმულ სტრესულ აშლილობის სიმპტომებსა და დეპრესიას შორის, რაც ჩვენი პირველი და მეორე ჰიპოთეზით გვექონდა გათვალისწინებული; ასევე დადასტურდა მესამე ჰიპოთეზა, უარყოფით კორელაცია დაფიქსირდა თვით-ეფექტურობასა და პტსა, დეპრესიას და დასწავლილ უმწეობას შორის.

საკვანძო სიტყვები: დასწავლილი უმწეობა, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა) , დეპრესია, თვით-ეფექტურობა, გენდერული ძალადობა.

Abstract

The purpose of the work is to study the learned helplessness (LH) phenomena in the victims of gender violence and find the correlation between the LH and symptoms of post-traumatic stress disorder (ptsd), depression and self-efficacy. Learned helplessness is a psychological feature that develops as a result of repetitive, uncontrolled and aversive stimuli. In my opinion, learned helplessness in women who are victims of violence may lead mental health problems and lack of self-efficacy. Post-traumatic stress disorder with international researches is 33-38% of women who are victims of violence; While depression is the second diagnosis of frequency, which is often expressed in domestic violence. **Methods.** The survey was carried out on 33 women who were in six shelters in Georgia and one in the crisis center. With my hypothesis, the learned helplessness was associated with PTSD symptoms, depression and self-efficacy: it was assumed that it would be positive correlation with PTSD and depression and would have negative correlation with self-efficacy. Consequently, in this study, standardized questionnaires were used by women who were victims of violence. The first block of research tools provided information on the frequency of violence and demographic data and the screening tools included a study of helplessness, depression, post-traumatic stress disorder and self-efficacy Scale. **Results.** Women who were victims of violence resulted in high and positive correlation between LH, PTSD symptoms and depression; A third hypothesis has also been confirmed, with a negative correlation between self-efficacy and depression, learned helplessness and PTSD.

Key words: learned helplessness, post-traumatic stress disorder (ptsd), depression, self-efficacy, gender violence.

მადლობა

მოცემული ნაშრომის შესრულებაში გაწეული წვლილისათვის მადლობა მინდა გადავუხადო უპირველესად ჩემს ხელმძღვანელს ნინო მახაშვილს, მისი მხრიდან გაწეული მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელ“-ს და ორგანიზაციის ფსიქოლოგს ელენე სამუშიას და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდ“-ს, რომლებმაც მოახდინეს კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

რაოდენობრივი ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავების პროცესში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებული მადლობა თამარ კელენჯერიძეს.

თარიღი 26.06.2017